თავისუფალი საქართველო

№ 10

26 მარტი - 1 აპრილი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

ესურს მივაპყრო მკითხველის ყურადღება იმას, რასაც სჩადის ორგანიზაცია "სამართლიანობის აღდგენის კავშირი - ხმა ერისა" და მისი თავმჯდომარე ალუაშვილი.

ამ ორგანიზაციის მიერ დაარსებულ იქნა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბად გამსახურდიას სახელობის პრემია. ორგანიზაცია არაკომპეტენტურია, რამდენადაც ავითარი რწმუნება არ გააჩნია დევნილობაში მყოფი საქართველოს უზენაესი საბჭოსა მთავრობისგან. ორგანიზაცია იბრძვის კანონიერების აღდგენისთვის საქართველოში რეგისტრირებულია საქართველოს უკანონო ხელისუფლების მიერ, რაც ეჭვქვეშ ენებს ხსენებული ორგანიზაციის კანონიერებას.

ბ-ნი გელა სალუაშვილისთვის ზვიად გამსახურდია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძრაობის ლიდერია. როგორც ჩემთვის ცნობილია, საქართველოში ყოველი მეორე ოვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერად თვლის თავს, მათ შორის ამ რგანიზაციის თავმჯდომარეც. ასე რომ, ბ-ნ სალუაშვილს ტექსტის შედგენისას ტი დაფიქრება მართებს (იგულისხმება დოკუმენტი, რომელიც გაეგზავნა ქ-ნ ვ.ვანდლერს გ. სალუაშვილის მიერ 31.03.1995 წ.).

რაც შეეხება ამ ორგანიზაციის ფუნქციებს - იურიდიულს, პოლიტიკურს და რალურს - ყველაფერი ეს ბატონმა თავმჯდომარემ თავად "იტვირთა", რითაც ნორირება გაუკეთა არა მარტო დევნილობაში მყოფ საქართველოს უზენაეს საბჭოსა მთავრობას, არამედ ზვიად გამსახურდიას ოჯახს (ოჯახმა პრემიების განაწილების ძდგომ შეიტყო ყოველივე, რაც მოგახსენეთ). დაცული არ იქნა პრემიების განაწილების ლემენტარული წესი. პრემიებზე წარსადგენი პიროვნებების სია ორგანიზაციას საქარ-

ღია წერილი

პოლიტიკურ ორგანიზაციას - "სამართლიანობის აღდგენის კავშირი - ხმა ერისა"

ველოს უზენაესი საბჭოსა და მთავრობისთვის უნდა წარმოედგინა, რაც ამ ორგანოების ველობის საგანი გახდებოდა. ამგვარად, დარღვეულ იქნა ყველა წესი და გადაწყვეტილებაც ერთპიროვნულად იქნა მიღებული.

ყოველივე ამის გამო, ვაცხადებ პროტესტს.

საქართველოს კანონიერი პარლამენტისა და მთავრობის ნებართვის გარეშე, არაკანონიერი ებება არა აქვს არც ერთ ორგანიზაციას დააწესოს საქართველოს პირველი ეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პრემია, მით უმეტეს, რომ უზენაეს საბჭოში ესდგომობით არსებობს პრემიების მიმნიჭებელი კომისია და ჯილდოების განყოფილება.

ასევე მიუღებელი და ერისთვის შეურაცხყოფელია ზვიად გამსახურდიას პრემიის აწესება და განაწილება სახელმწიფოში, რომელსაც ხუნტა მართავს.

პრემია სრულიად დაუმსახურებლად მიენიჭა გაზეთს "იბერია-სპექტრი" და მის დაქტორს. ირაკლი გოცირიძე საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის მიმართ არღვია ადამიანის ელემენტარული უფლებები - არ გამოაქვეყნა დევნილობაში მყოფი ვად გამსახურდიას "ღია წერილი შევარდნაძისადმი". სამაგიეროდ, შევარდნაძესთან ტერვიუ ამავე გაზეთმა გამოაქვეყნა ორჯერ - ქართულ და რუსულ ენებზე. იგივე ეძის ინტერვიუზე ვახტან გოგუაძესთან და ხუნტის სხვა წევრებთან, რომლებიც ზეთის სასურველ სტუმრებად ითვლებოდნენ. პარალელურად ამისა, გაზეთი უპირატად აქვეყნებდა კანონიერი მთავრობის მხარდამჭერი წერილების იმ ნაწილს, რომელიც ბა-დიდებას ასხამდა რედაქტორს და მის მამებლად ყალდა. ვერ დავუფარავ ირ. ციცირიძეს დანაშაულს ზვიად გამსახურდიასა და მისი ოჯახის წინაშე: გაზეთში ამოქვეყნდა პრეზიდენტის მკვლელობაში ეჭვმიტანილია ინტერვიუები, სადაც პრეზიდენტი უდიდესი ცოდვის ჩამდენადაა გამოყვანილი. ამით იგი შეეცადა ხუნტის ჯალათებისა პირადად შევარდნაძის დანაშაულის მიჩქმალვას. ამასთან დაკავშირებით ოჯახის პროტესტო ტელეგრამის დაბეჭდვაზე უარი განაცხადა: "გაზეთი ჩემია, რასაც მინდა ას დავბეჭდავო". აქედან ცხადია, რომ დანაშაულს სჩადიან, როდესაც ადამიანის ვლებების ამგვარ "დამცველს" აჯილდოებენ ზვიად გამსახურდიას პრემიით.

ბ-ნო სალუაშვილო! ეს ხომ ის ირაკლი გოცირიძეა, რომელიც ხმის ჩახლჩამდე ვდა პროპაგანდას ხუნტის ცრუ არჩევნებს, რომელშიც თავად მონაწილეობდა.

ასევე მინდა შეგახსენოთ, ბ-ნო სალუაშვილო! ზვიად გამსახურდია არასოდეს ყოფილა ემკავშირელი და კომპარტიის წევრი. ასე რომ, მისი სახელობის პრემია უნდა ენიჭოს იმ პიროვნებებს, რომლებიც თავიანთი საქმიანობითა და ცხოვრების წესით ითგულად ემსახურებოდნენ საქართველოს თავისუფლების იდეას და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში წარუშლელი კვალი დატოვეს. ბევრი მათგანი მსხვერპლადაც შეწირა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას.

ბ-ნო სალუაშვილო! თქვენ, როგორც სამართლიანობის აღდგენისთვის მებრძოლი, ანამ პრემიის მინიჭებასა და განაწილებას დაიწყებდით, ერთი განცხადება რომ ვაკეთებინთ ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან დაკავშირებით, ის უფრო უპრიანი ქნებოდა. ამგვარი განცხადების გაკეთება არ ინებეთ, არ ისურვეთ დაპირისპირება ვიად გამსახურდიას მკვლელებთან. იგივე ითქმის იმ პიროვნებებზე, რომელთაც ოვნებით მიიღეს პრემია, ხოლო პრეზიდენტის მკვლელობაზე საპროტესტო განცხადების გაკეთებას დუმილი არჩიეს.

ბ-ნო სალუაშვილო! კიდევ ერთ არასასიამოვნო საკითხს უნდა შეეხო. მხედველობაში ქვს ზვიად გამსახურდიას ლიტერატურული და პოლიტიკური მემკვიდრეობა, რომელსაც ქენენ, ოჯახთან შეუთანხმებლად, გამეფდებით გამოსცემთ ბროშურების, წიგნებისა თუ ა სახით. იქამდე გაკადნიერდით, რომ პრეზიდენტის ტექსტების შეცვლასაც კი ეცადეთ ხელი.

კატეგორიულად ვაფრთხილებთ ყველას, კერძო პირსა თუ ორგანიზაციას, რომელსაც ვად გამსახურდიას მემკვიდრეობა პირადი გამდიდრების წყაროდ გაუხდია - შეწყვიტეთ ოჯახთან შეთანხმების გარეშე ყოველგვარი გამოცემები, რისი იურიდიული უფლებაც ა გაქვთ. ეს ფუნქცია ოჯახს აკისრია და როგორმე გაართმევს თავს.

საქართველოში თქვენთვის გასაკეთებელი საქმე საკმაოდ ბევრია.

მანანა არჩვაძე-გამსახურდია

26. 02. 1996.

წინ, საბჭოთა კავშირისკენ

დემოკრატებთან თუ დემოკრატების გარეშე

მას შემდეგ, რაც რუსეთის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ბელოვეჟის ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ, დსთ-ში თავმოყრილ "დემოკრატებს" ახალი საზრუნავი გაუჩნდათ - იხსნან ქვეყანა "ტოტალიტარიზმის" ხელახალი შემოტევისგან. ამ პრობლემის გარშემო შეჯგუფდა დსთ-ს თითქმის ყველა რესპუბლიკის ხელმძღვანელი... შეიქმნა დაახლოებით ისეთი სიტუაცია, როგორიც 1990 წლის აგვისტოს სახელმწიფო გადატრიალების პერიოდში; წამოვიდა საჯარო დაგმობათა ნიაღვარი, მიმართვები, განცხადებები...

"მოსალოდნელი საფრთხის" წინააღმდეგ განსაკუთრებული ენერგიითა და შემართებით იბრძვიან წარსულში სსრკ-ს ბურჯი კომუნისტები. მათმა გულმოდგინებამ თვით დუმის სპიკერს, გ. სელეზნიოვსაც კი კომუნისტური წარსულის "უსიამო" ასოციაციები აღუძრა.

მიმდინარე პოლიტიკურ ბატალიებს წითელ ხოლად გასდევს ელცინისადმი ერთსულოვანი მხარდაჭერის იდეა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში. ე.შევარდნაძემაც შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და ელცინი ტოტალიტარიზმისგან თავის დაღწევის ერთ-ერთ გარანტად აღიარა...

თავად რუსეთის პრეზიდენტის მოქმედება, როგორც მოვლენათა მთავარ გმირს შეეფერება, უფრო მეტი "სიმშვიდით" და "თავდაჭერილობით" გამოირჩევა. როგორც პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსმა - ს. მედვედევმა განაცხადა, იგი იმედოვნებს, რომ დუმა, ბოლოს და ბოლოს, გონს მოეგება და უკან წაიღებს ამ მავნებელურ გადაწყვეტილებას. აუ გასინჯეთ, ელცინს ხუმრობის ხალისიც არ დაუკარგავს ამ "კრიტიკულ" სიტუაციაში - თავის მიმართვაში სათათბიროს დეპუტატებისადმი აღნიშნა: "თუკი სსრკ უკვე აღდგენილია, მე, ელცინი გახლავართ რუსეთის ერთადერთი კონსტიტუციური ორგანო, ვინაიდან ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ვარ არჩეული; სხვას ყველას - გორბაჩოვის ჩათვლით, უფლებამოსილების ვადა ამოწურული აქვსო". ეს სწორედ ის შემთხვევა უნდა იყოს, როცა ხუმრობაში ნახევარზე მეტი - სიმართლეა: რუსეთის დღევანდელი პრეზიდენტი, რომელიც არასოდეს ჩამორჩენია კომუნისტებს სისასტიკეს და ტოტალიტარიზმის პრინციპების ერთგულებაში, თუ გაჭირდა, ალბათ, არც სსრკ-ს ხელმძღვანელობაზე იტყვის უარს, ისევე, როგორც მის დაქვემდებარებაში მყოფი პატარ-პატარა პრეზიდენტები - სიამოვნებით გადასკუპდებიან ძველ საკარძლებში...

მაგრამ ჯერჯერობით ამის დრო არ დამდგარა; რუსეთის პრეზიდენტმა კომუნისტთა გადაწყვეტილებას დსთ-ს შემდგომი ინტეგრაციის გეგმა დუპირისპირა, რაც, თავის მხრივ, ბრძნულ პოლიტიკურ ნაბიჯად აღიქვეს მისმა მომხრეებმა. აპრილის დასაწყისში მოსალოდნელია ამ ინტეგრაციაში ჩართვაზე ბელორუსიის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის მთავრობებთან შეთანხმების მიღწევა. ეპოტინებიან უკრაინას, მოლდოვას, თვით ბალტიისპირეთის ქვეყნებსაც კი. ამ პროცესებში განსაკუთრებული მისია დაეკისრება შევარდნაძის მიერ შექმნილ ერთიან კავკასიას...

როგორც ვხედავთ, ეს ყველაფერი დსთ-ს შემადგენლობაში მყოფ რესპუბლიკათა "კიდევ უფრო დაახლოებას ითვალისწინებს". ამ "დემოკრატიული პრინციპებით ინტეგრირებული" სახელმწიფოს ფონზე კი, ხალხია საპყრობილედ წოდებული საბჭოთა კავშირი. შესაძლოა, სამოთხედ მოგვეჩვენოს.

15 მარტის დადგენილების ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი, გარდა იმისა, რომ აჩქარებს მოდერნიზებული "დემოკრატიული სსრკ-ს" შექმნას - სხვა სახელწოდებით, ხელს უწყობს ბ. ელცინს წინასაარჩევნო ქულების დაგროვებაში. მსოფლიოს "პროგრესულად" მოაზროვნე საზოგადოება, პოლიტიკური წრეები, რომლებიც რატომღაც მხოლოდ უკან იყურებიან და დღევანდელ რუსეთში "ვერ ამჩნევენ" ბევრად უფრო საშიშ განუკითხაობას, ელცინის გარშემო ირაზმებიან და მას, როგორც დემოკრატიის საყრდენს, - თვალებში შესციცინებენ. შემთხვევითი არაა ისიც, რომ რუსეთის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უკვე ალაპარაკდა აღნიშნული დადგენილების მიზეზით საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლის შესაძლებლობაზე...

რას უქადის აღნიშნული მოვლენები საქართველოს?

ჩვენი მდგომარეობა ლამის ტრაგიკულია, რამეთუ წინასწარაა ცნობილი - რუსეთის ხელისუფლებაში მომხდარი არანაირი ცვლილება არ გააუმჯობესებს ჩვენს მდგომარეობას. იძულებულნი ვართ, დაძაბულებმა ვადევნოთ თვალი იქ მიმდინარე მოვლენებს, უარესის მოლოდინში... ესაა ზვედრი იმ ქვეყნისა, რომლის ხელისუფლებასაც არათუ პოლიტიკური გამჭრიახობა, თავმოყვარეობაც კი არ ყოფნის საიმისოდ, რომ გაბედოს და უარი თქვას იმ ქვეყნის ქვეშევრდომობაზე, რომელიც გამუდმებით კომუნისტური მმართველობის აღდგენის საშიშროების წინაშე დგას. საქართველოს დღევანდელი მმართველობის პრინციპულობის ხარისხის განსაზღვრისთვის ის ფაქტიც კმარა, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ დადგენილების მიღებაც კი ვერ მოახერხა ასეთ მნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებით. მოტივი ტრადიციული გახლავთ - არ გავაშწავოთ ურთიერთობა რუსეთთან.

მართლაც, უსაზღვრო უნდა იყოს იმ ადამიანთა ფანტაზია, რომელთაც საქართველოში შექმნილი მდგომარეობისა და რუსეთის მიერ აქ დატრიალებული უბედურების ფონზე კიდევ წარმოუდგენიათ მასთან ურთიერთობის უფრო გამწვავება. ესეც არ იყოს, საინტერესოა, რომელ რუსეთთან უფრთხილ ურთიერთობის გაუარესებას ჩვენი პარლამენტარები? რამდენადაც ვიცით, საქართველოს ხელისუფალი, მის მმართველ "ელიტას" ჯერჯერობით უკან არ წაუღია "აქსიომა" ბუნებაში "კარგი" და "ცუდი" რუსეთის არსებობის შესახებ. გარდა ამისა, ისინი ხომ სწორედ ელცინის (ანუ "კარგ") რუსეთს უჭერენ მხარს და რატომღა არსებობს "ურთიერთობათა გამწვავების" ეს საშიშროება?

საქართველოს ხელისუფლების ავადყოფობად ქცეულ "სიფრთხილეს" ნოყიერ ნაადგს უმზადებენ რუსი მეგობრები - შევარდნაძის რადიკალური პოზიციით განაწყენებულმა სელეზნიოვმა "დროულად" გამოგზავნა მუქარა საქართველოს მისამართით - არ დაგავიწყდეთ, რომ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხის განხილვა რუსეთის დუმას ჯერ კიდევ წინა აქვსო... ეს განცხადება, შეიძლება, მომავალში საფუძვდად დადოს "პოლიტიკურ კომპრომისთა დიდოსტატის" კიდევ ერთ "შორსმჭვრეტელურ" დათმობას და საქართველო აღდგენილი სსრკ-ს შემადგენლობაშიც აღმოჩნდეს.

ჩვენი ქვეყანა კი მანამდე იქნება გაურკვეველ მდგომარეობაში, სანამ იგი, - რაკი საკუთარი არ გააჩნია, - სხვისი ხელისუფლების "ფორმირებით" ირთობს თავს და სანამ მას დასახრობად მიაქანებენ მდინარის დინებას ადევნებული, მხოლოდ საკუთარი ტყავის გადარჩენაზე მეოცნებე პოლიტიკოსები.

ნუგზარ წიკლაური

P.S. ხუთი წლის წინ, 1991 წლის 31 მარტს საქართველომ რეფერენდუმზე ხმა მისცა დამოუკიდებლობას.

რუსეთთან მჭიდრო ინტეგრაციაში შესვლას ჩვენი მესაჭენი, ალბათ, ზედმეტი ხმაურის - რეფერენდუმებისა და პლებისციტების გარეშეც მოახერხებენ.

"პოლხური კოშკი" კვლავ დაარბიეს

21 მარტს "კოლხურ კოშკში" მისულ კონსტანტინე გამსახურდიას არქივისა და "კოლხური კოშკის" დაცვის კომისიის წევრებს ეხოც და შენობაც აოხრებული დახვდათ: განსაკუთრებით ძძიე მდგომარეობაშია ეზოში მდებარე დამხმარე ნაგებობა - კედლებზე მოთავსებული პლაკატები და წარწერები ჩამოგლეჯილია, ჭერზე გაკრული ბიაზი ჩამოხეული და დაკარგული, ფიცრები ჩამოყრილი, იატაკი აყრილი და გაფუჭებული. ნაგებობა შერყვნილი და წაბილწულია. ისედაც მრავალჯერ გაძარცული ბუხარი საბოლოოდ დაუნგრევიათ. კოშკის საწვიმარი მილები მოგლეჯილია, ნაწილი იქვე ყრია, ნაწილი საერთოდ წაღებულია.

ყველაზე მეტ აღშფოთებას ის იწვევს, რომ დარბეულია კონსტანტინე გამსახურდიასა და მისი მეუღლის საფლავები - ქ-ნი მირანდას საფლავის ჯვარი დაკარგულია, ხოლო დიდი კონსტანტინეს ჯვარი შუაზეა გადამტვრეული. ეზო ნამწვავებითაა სავსე და აქა-იქ კოცონის კვალი ამჩნევია.

კარ-მიდამო და უძვირფასესი საფლავები, რომლებიც ყველა ქართველში მოწიწებისა და სიამაყის გრძნობას უნდა იწვევდეს, აგერ უკვე მეოთხე წელია, რაც უსასტიკესი გაავების სამიზნედ ქცეულა.

ქართველი ერისთვის, რომელიც დღესდღეობით უძლურია აღკვეთოს მასირებული თავდასხმები თავის ღირსებასა და პატივზე, განსაკუთრებით შეურაცხყოფელია, რომ ეს გაუგონარი ბარბაროსობა ზვიად გამსახურდიას დაბადების დღის წინა დღეებში ხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეძაზოთ მესამე ცდისთვის

გურამ პეტრიაშვილი

სინამდვილეს ვერ გავექცევით. უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთის იმპერიისგან თავის დაღწევის მეორე ცდაც მარცხით დამთავრდა.

ქართველ ერს თავს დაატეხეს ენით აუწერელი უბედურებები, საქართველო გაპარტახებულია, რუსეთის ჩექმა კვლავ თელავს ჩვენს მიწას, ქვეყანაში კვლავ გამეფდა სამსახეობა სატანისა: ძალადობა, ანგარება და სიცრუე.

მაგრამ ერი ღვთის შექმნილია და მისი განადგურება შეუძლებელია.

ერის წიაღში ვერავინ ჩაქრობს თავისუფლების სანთელს.

1992 წლის შემოდგომაზე გროზნოში ვკითხე ჩვენს საყვარელ ძმას ნუგზარ მოლოდინაშვილს: ბოლოს და ბოლოს ხომ გავიმარჯვებთ-მეთქი.

"ეაშ რას ვიზამთ, - მიპასუხა ნუგზარმა, - ილიას და აკაკის ხომ ვერ გააუქმებენ; ჰოდა, ვინც ილიას და აკაკის ლექსებს ისწავლის, ყველა ჩვენია".

ნუგზარი, როგორც ერის ნაწილი, თვითონაა იმის მაგალითი, რომ არა ქრება ის წმინდა სანთელი: პაპამისი ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი იყო.

არა გვაქვს უფლება იმისა, რომ გული გავიტეხოთ. ცალ-ცალკე მოფიქრალებმა შეიძლება ვერც შევამჩნიოთ, თუ როგორ მოიკრებს ძალას ერის სული და სხეული თავისუფლების მისაღწევი მესამე ცდისთვის.

მესამე ცდა გამარჯვებით უნდა დავაგვირგვინოთ.

ისტორიული განსაცდელი სწორი დასკვნებისთვის უნდა გამოვიყენოთ და ამით ვაჯობოთ მუხთალ ბედს.

უპირველესი, რაც უნდა ვისწავლოთ ყველამ უკლებლივ, ესაა ჭეშმარიტი ავტორიტეტების დანახვა არა მხოლოდ დიდ წინაპართა შორის, არამედ ჩვენს გვერდითაც.

პოლონეთში გამოქვეყნდა "კაგებეს" ინსტრუქციები, რომლებსაც ამაზრზენი და, ვაგლახ, უკედავი გველეშაპი აძლევდა თავის რეზიდენტებს.

გადასაბირებლად შერჩეული პირის "კაგებესთვის" ვარგისიანობის "ტესტში" ერთი მუხლი ასეთი ყოფილა:

უყვარს თუ არა ამ პირს სამშობლო და სცემს თუ არა პატივს მისი ქვეყნის ავტორიტეტებს.

"კაგებე" ის ორგანიზაციაა, რომელიც შესანიშნავად იყენებდა და იყენებს მსოფლიო მეცნიერებათა მიღწევებს, განსაკუთრებით ფსიქოლოგიაში.

იმიტომაც იდევნებოდა ასეთი გააფთრებით ადამიანის ცნობიერებიდან სამშობლოს სიყვარული და ავტორიტეტების პატივისცემა, რომ ეს ცნებები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.

სამშობლოს სიყვარული მაშინაა მტკიცე, როდესაც კაცს შეუძლია ჭეშმარიტი ავტორიტეტის დანახვა, მისდამი პატივისცემის გრძნობით განმსჭვალვა.

და ახლა მივადექით მნიშვნელოვან პრობლემას.

ეს გახლავთ მთლად უბრალო და ყველასთვის ცნობილი რამ.

შური!

ქართველი კაცი თავმოყვარეა და ეს კარგია. მაგრამ მონობის ორასმა წელიწადმა ჩვენი კარგი თვისებები უცნაურად გადაასხვაფერა, ჩვენი თავმოყვარეობა პატივმოყვარეობად აქცია. ეს კი ნოყიერი ნიადაგია შურისთვის.

სულხან-საბას უწერია, რომ შური არს მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა. ის, რომ ამდენი ქართველი ზვიადის სახელს სიყვარულით იმეორებდა ხმამაღლა თუ გულში, პატივმოყვარეობით დაავადებულებში მწუხარებას აჩენდა, და ეს მწუხარება ბოლმად იქცა ბოლოს და ბოლოს.

არაა გასაკვირი, რომ ყველაზე მეტად სწორედ "ნალებ" ინტელიგენციას შეშურდა ჩვენი პრეზიდენტისა. მათ მოეჩვენათ, რომ ზვიადმა მათ წაართვა მათთვის განკუთვნილი ტაში და სიყვარული - რუსულმა საბჭოთა იმპერიამ ხომ ისინი ისე გაზარდა, რომ ერთადერთ მიზნად პირადი შემოქმედებითი წარმატების მიღწევა და მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის მოპოვება ჰქონდათ დასახული, ამიტომ მხოლოდდა პატივმოყვარეობითა და ამბიციებით იყო სავსე მათი გულები (ამას ისიც ემატებოდა, ცხადია, რომ პრეზიდენტის მიერ დასახული ერთ-ერთი მიზანი - ქვეყნის მატერიალური სიმდიდრის სამართლიანი განაწილება - მათს ქონებრივ მდგომარეობასაც ეშუქრებოდა. მაგრამ ამაზე სხვა დროს).

არადა, შურის დაძლევა იოლად შეუძლია ადამიანს. ამისთვის საჭიროა ერთი პატარა რამის ცოდნა: სხვისი სიდიდე და სიდიადე შენს მეობას სრულიადაც არ ემუქრება. სამყაროში ყველასთვისაა ადგილი. არის ზეცაში მონავარდე არწივი და არის ხის ტოტებს შორის მოფრთხიალე ბეღურა. ერთი არ აუქმებს მეორეს, რადგან ნამდვილია ერთიც და მეორეც. თუკი ზვიად გამსახურდია ღვთის ნებით არწივია, ეს განა ხელს მიშლის, რომ ლაღად ვიფრთხიალო? ისიც ნამდვილია და მეც შემიძლია ნამდვილი ვიყო, თუკი ნამცეცების გულისთვის გალიაში არ შევატყუებინე ვინმეს ჩემი ოხერი თავი.

როგორ უნდა გამოვიცნოთ, ჭეშმარიტი ავტორიტეტია ჩვენს წინაშე თუ არა?

სხვას, ალბათ, სხვა ხერხები აქვს ამის ამოსაცნობად, მე კი ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან ორ ხერხს შემოგთავაზებთ.

პირველი:

კარგად უნდა დავაკვირდეთ ამ კაცის ცხოვრებას და ჩავხედეთ, თუ რა შეფარდებაშია ამ კაცის არსებაში ადამიანის ქმედებათა ორი წარმმართველი ძალა: სიამოვნებისადმი ლტოლვა და მოვალეობის შეგრძნება.

როდესაც ღმერთმა ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა აირჩია ჩვენს წინამძღოლებად, მან ჩვენს დიდ წინაპართა ნაგრძნობ-ნაფიქრალით, ქართული სულის ისტორიით, დაბოლოს დიდი კონსტანტინეს ცოცხალი მაგალითით ამ ორი კაცის გულში მოვალეობის შეგრძნება გააქეფა.

–მრავალი მტერი გვყოლია, ბევრ იმპერიას დაეუბაგრივართ და დაეუტყვეებივართ. აგერ ორასი წელია ყველაზე საზიზღარი იმპერიის ტყვეები ვართ, მაგრამ ტყვეობა სამარცხვინო არ არის, თუკი ტყვე მონად არ გადაიქცევა. რით არის მიუღებელი მონა? მონა არის თავისი მდგომარეობით კმაყოფილი ტყვე.

თუკი სალაფავს არ მოაკლებენ და სიამოვნებების მიღების შანსს არ წაართმევენ, მონა ბედნიერად გრძნობს თავს.

ტყვეს კი სული და გული მუდამ თავისუფლებისკენ მიუწევს. მისი არსება განმსჭვალულია მხოლოდ ერთი აზრით, რომ მოვალეა აკეთოს საქმე, რომელიც მის ერს თავისუფლებისკენ ნაბიჯს წაადგმევინებს. ჩაიხედონ თავის გულში ზვიადის მოწინააღმდეგეებმა და მიხვდებიან, რომ მათ მონური ჰქონდათ ცხოვრება, რადგან მხოლოდ პირადი სიამოვნებებისთვის იცხოვრეს (ფული, სკამი, ქალი, სახელი, მწვადი, "პაეზდკა" და სხვა და სხვა).

ზვიადისა და მერაბის ცხოვრება კი ნიმუშია იმისა, თუ როგორი უნდა ჰქონდეს კაცს ცხოვრების წესი: მუდამ და ყველგან მოვალეობის გრძნობის ყველაზე წინ დაყენებით.

მეორე:

რომ საბოლოოდ დავრწმუნდეთ, არის თუ არა ეს კაცი ჭეშმარიტი ავტორიტეტი და უნდა გავყვეთ თუ არა მას, საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა ხერხებს და საშუალებებს გვთავაზობს იგი მიზნის მისაღწევად.

ეჭვი არ მეპარება, რომ ზოგიერთ ქართველს იმათ შორის, ვინც იარაღი დაიჭირა ხელში ჩვენი პრეზიდენტის წინააღმდეგ, ალალად ეჯერა, რომ სამშობლოსთვის კეთილ საქმეს აკეთებდა. ისინი იმიტომ მოტყუვდნენ, რომ ის არ იცოდნენ, რაზეც ახლა ვლაპარაკობ.

იმპერიის მოქმედების ფორმულაა - ქართველებს ისე აკეთებინოს რუსეთის საქმე, რომ მათ ეგონოთ, ჩვენსას ვაკეთებთო.

ამიტომაც, თუკი ვინმე ქართველი მიდის მეორე ქართველთან და ეუბნება: წამომყევი, სამშობლო უნდა გადავარჩინო და ავაყვავოო, ამ მეორემ უნდა ჰკითხოს: რა ხერხებსა და საშუალებებს მთავაზობ მიზნის მისაღწევადო.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაგმოს ქართველმა კაცმა სატანურ-ბოლშევიკური აზრი, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას.

არა, ძმებო, არა და არა!

რაც უნდა დიდი და ნათელი იყოს მიზანი, იგი ვერ გაამართლებს უკეთურ ხერხებს და საშუალებებს.

თუკი გვინდა, რომ იმპერიამ კვლავაც არ აკეთებინოს ქართველებს რუსული საქმე, სულ სხვაგვარად უნდა გვესმოდეს მიზნის და მისი მისაღწევი საშუალებების ურთიერთმიმართების ამბავი.

სწორედ იმაში, თუ რა ხერხებს გვთავაზობს კაცი მიზნის მისაღწევად, ჩანს, თუ სინამდვილეში რა აქვს ამ კაცს მიზნად.

ვაგლახ, ბევრი ვერ მიხვდა, რომ შეუძლებელია ღირსეული მიზანი ჰქონოდათ იმათ, ვინც ახალგაზრდებს იარაღი შეაჩეჩეს ხელში - წადით, პრეზიდენტს ესროლეთო.

და საპირისპიროდ, რადგან დიდი, ნათელი მიზანი ჰქონდა ზვიად გამსახურდიას, ამიტომ ამ თავსმოხვეულ ომშიც კი არ უხმარია უღირსი ხერხი. ნათელ და წმინდა მიზანს შეურაცხყოფას ვერ მიაყენებდა ჭეშმარიტი გმირი საქართველოისა - ზვიად გამსახურდია.

გვეუბნებიან, მიზანი ამართლებს საშუალებასო?

ვუთხრათ, რომ სატანის გამონაგონია ეს.

ღვთისა და ერის გასახარად რომ მოვიქცეთ, ამისთვის უნდა გვახსოვდეს: გამოყენებულ საშუალებებში გამოსჭვივის, თუ სინამდვილეში რა აქვს კაცს მიზნად.

მაშ გვიყვარდეს სამშობლო, დავიოკოთ ჩვენი პატივმოყვარეობა, გავიმეფოთ სულში მოვალეობის შეგრძნება და ფხიზელი გონებით შეეხედოთ იმათ, ვისაც პრეტენზია აქვს, რომ გაგვიყოლიოს.

ნუ გავყვებით იმას, ვინც ამბობს წმინდა მიზანი მაქვსო, მაგრამ მიზნის მისაღწევად სურს ძალადობის და სიცრუის გზით გვატაროს. კაცს შეუძლია მოგატყუოს, კარგი მიზანი მაქვსო, მაგრამ ვერ რასდროს მოახერხებს იმის დაფარვას, თუ რა ხერხებით მოქმედებს.

გული მიგრძნობს და ჩემი ვარაუდიც იმას მეუბნება, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს ფეხზე დადგომის რეალური შანსი მიეცემა. ვინც ერთხელ შეირცხვინა, მეორედ მაინც ნულარ შეირცხვენს თავს.

ვიდგეთ მტკიცედ.

წინ მესამე ცდაა. უნდა გავიმარჯვოთ.

2. 02. 96.

ძალადობრეობას კანონი არ სჭირდება

ჩვენს კითხვებს პასუხობს უზენაესი საბჭოს წევრი, პოლიტპატიმარი ნუგზარ მოლოდინაშვილი

კორესპონდენტი: - თქვენ დაგაპატიმრეს თითქმის საჯარო ვითარებაში. როგორ ფიქრობთ, ეს გამიზნულად გაკეთდა? თქვენი აზრით, რა იყო ამ აქციის მიზანი?

ნუგზარ მოლოდინაშვილი: - დიახ, დამაპატიმრეს 1995 წლის 17 მაისს, საქართველოს ჰელსინკის კავშირის მე-3 ყრილობის პირველი დღის დამთავრების შემდეგ. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ დილიდანვე აპირებდნენ ჩემს აყვანას. ამიტომ, ფაქტობრივად, ყრილობის მხოლოდ გახსნას დავესწარი, შემდეგ კი კულისებიდან ვადევნებდი თვალს მის მიმდინარეობას. ეს სიმხდალით არ მომსვლია. მათი მიზანი მარტო ჩემი აყვანა არ იყო. ჩემი საჯარო დაპატიმრება ყრილობის მიმდინარეობისას, ჩაშლიდა ამ მეტად აუცილებელ ღონისძიებას, რაც, ჩემი აზრით, დაუშვებელი იყო.

ჰელსინკის კავშირის ყრილობის ლეგალურად ჩატარება კრიმინალური ხუნტისთვის მეტად სერიოზული სიხალე გახლდათ. აი, რატომ მოვითხოვდი დაუნებებით მის ჩატარებას "ცოდის" დარბაზში მიუხედავად იმისა, რომ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ბევრი გონიერი არგუმენტი არსებობდა.

სხვათა შორის, გამაფრთხილებელი გონგი იყო 14 მაისს, დიდოსტატი კონსტანტინეს დაბადების დღე "კოლხურ კოშკში", სადაც მთელი დღის განმავლობაში სრულიად ღიად და პროვოკაციულად მდიეს სუკ-ის ფილერებმა, მერე კი მომცეს საშუალება ვითომდა მოვწყვეტოდი მათ. ეს იყო სერიოზული ულტიმატუმი - თუ თავს არ დავანებებდი ლეგალურ ქმედებებს, ამიყვანდნენ. ეს მაშინ არავისთვის მითქამს.

კორ. - ლეგალური მოქმედებების შესაძლებლობა პრინციპულად მნიშვნელოვანია თქვენთვის?

ნ. მ. - ჩვთვალე, რომ ლეგალიზაციის გარეშე, ჩემი ფასი გროში იყო, ვინაიდან მათ ჩემი პოლიტიკურ გვამად გადაქცევა სურდათ. ამას კი - ვფიცავ ყველა საფიცარს - სანამ პირში სული მიდგას, ვერავინ მოახერხებს.

ჩემი დაპატიმრება 1993 წლის დასაწყისშივე შეეძლოთ, მაგრამ მათ ჯერ ბინძური ინსინუაციებით მოახერხეს დავეტოვებინე "ერგვალი მაგიდის" გარეთ, "ერგვალი მაგიდისა", რომლის შექმნისა და აღდგენის ერთ-ერთი ინიციატორი მეც გახლდით. არც ეს ფაქტია ძნელი დასამტკიცებელი. ამაზე არსად, არასდროს და არავისთვის არაფერი მითქამს, მხოლოდ და მხოლოდ ერთი საფიცარი და უძვირფასესი პიროვნების თხოვნის გამო, რომლის არათუ თხოვნა, არამედ ნებისმიერი სურვილი, ან აზრიც კი კანონის ტოლფასი იყო და არის ჩემთვის. მოთმინებით მივუტევებდი ჩემს მტერმოყვარეს მხოლოდ და მხოლოდ მისი უდიდესი პატივისცემისა და მიცემული პირობის გამო. დღეს ამ მოვალეობისგან, სამწუხაროდ, თავისუფალი ვარ.

კორ. - რას გულისხმობთ?

ნ. მ. - 1993 წელს დაიწყო და წლის ბოლოსთვის დასრულდა კიდევ ოპერაცია "ტრესტ"-ის მსგავსი უბინძურესი თამაში, რომლის საბოლოო მიზანი პრეზიდენტის ფიზიკური განადგურება იყო. ამ თამაშში გარკვეული ნეგატიური როლი ჩემმა უძვირფასესმა "ოპონენტებმაც" ითამაშეს. გული მიკვდება და გულწრფელად ვნანობ, რომ, მიუხედავად უმძიმესი დარტყმისა, ყველაფერი ვერ გავაკეთე, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა ამ ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად. ამ დღიდან ჩემს თავს შევფიცე, რადაც არ უნდა დამიჯდეს, არ დავინდო არავინ, ვინც წინ ეღობება ერთობის მიღწევას, დაუნდობლად ვამხილო ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილი მახრა-ფუსარაია მთელი კასტა. ამის დროც მოვა...

საქმე ჩემში არ არის. 1992 წლის უმძიმესი რეპრესიების შემდეგ, 1993 წლიდან ფეხზე წამოდგომას იწყებს საქართველოს უდიდესი პოლიტიკური ორგანიზაცია - "ჰელსინკის კავშირი". კავშირი მეტად საშიშ ძალად იქცა ანტიდემოკრატიული რეჟიმისთვის: მისი ინიციატივით შემუშავებული იქნა "ერგვალი მაგიდის კონვენცია", რომელიც საქართველოს მრავალი პოლიტიკური ორგანიზაციისთვის აღმოჩნდა მისაღები და. "ერგვალი მაგიდის" ეგიდით, იძლეოდა ფაქტობრივი ხელისუფლების საპირისპირო ძალების დარაზმვის რეალურ შესაძლებლობას; ხდებოდა ადამიანის უფლებათა დარღვევის უმწვავესი ფაქტების აღნუსხვა, აღდგა და უფრო მჭიდრო გახდა კავშირი საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საკუთრივ IGFM-თან, დაჩქარდა ახალი საერთაშორისო კონტაქტები; ხორცს ისხამს ეროვნული მოძრაობის გონივრული კოორდინაციის უაღრესად საჭირო გეგმა.

ყველაფერ ამაში, როგორც ჰელსინკის კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მეც ვლებულობდი მონაწილეობას. ასე რომ, მარტო თავისუფლად კი არ დავდიოდი - ვიღაცას სერიოზულად გავეჩხირე ყელში. რეაგირებაც უმალ მოჰყვა. შედეგი? პარალელური ორგანიზაციის შექმნა, პოლიტიკური სექტრის სრული აღრევა, ეროვნული მოძრაობის კიდევ უფრო მეტად გათიშვა-დაქსაქსვა. ცხადია, ამის გამომწვევი მიზეზი არაფრით არ შეიძლება იყოს ერთი ადამიანის იზოლირება. ამ პროცესს უფრო ღრმა და სერიოზული მიზეზები უდევს საფუძვლად, მაგრამ მცირე როლი ამანაც ითამაშა.

კორ. - რამდენად სამართლებრივია, თქვენი აზრით, ეს პროცესი?

ნ. მ. - გამკვირვებია თქვენგან, ვინ მოითხოვს კანიბალისგან მარხვის შენახვას? თავხედობას და ძალადობრეობას კანონი არ სჭირდება, მას წელზე მახვილი ჰკიდია და ის არის მისი კანონი.

კორ. - როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ისახავს ამ ერთიანი საქმის, ერთი მხრივ, დახლეჩა და, მეორე მხრივ, კონკრეტულად თქვენს საქმეში ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობის წარმომადგენელთა და უზენაესი საბჭოს წევრთა გაერთიანება?

ნ. მ. - ესაა ზვიადიზმის, როგორც ქართული სახელმწიფოებრივი იდეის, დასამარების თუმც უსუსური, მაგრამ მაინც სერიოზული მცდელობა. პოლიტიკურ პიგმეათა დასს მოუწადინებია ერთი დარტყმით გაუსწორდეს დაუძინებელ მტერს, რომელიც საფლავიდანაც არ ასვენებს მათ. შიშველი პოლიტიკური ბრალდებებით, პროცესი კიდევ უფრო ტრაგიკომიკურ სახეს მიიღებდა. აუცილებელი გახდა მისი დრამატიზება, საშობაო ნაძვის ხესავით მორთვა გვამებით, გაუბედურებული შშობლებით და ა.შ. ამის გამო, პოლიტიკოსთა და საეხვდროთა "სიმპოზიუმი" სრულიად აუცილებელი შეიქნა. მეორე მხრივ, მე არაფერი მაქვს ამის საწინააღმდეგო: დაე, შეეცადონ და გაასამართლონ კანონიერი ხელისუფლების ყველა შტო - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ა.შ.

გასაკვირია მხოლოდ, რატომ არ გვიმშვენებს გვერდს ჩვენი სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი?!

არ იქნებოდა ურიგო გაეთვალისწინებინათ, რომ ზოგჯერ საშობაო ნაძვის ხემ აალება იცის. სად წაველენ ნეტავ დღევანდელი ლინჩის სასამართლოს ორგანიზატორები, როდესაც ყველასთვის ნათელი გახდება ქვეყნისა და ერის ტრაგედიის ნამდვილ შემოქმედთა სახელები.

კორ. - აქედან გამომდინარე, როგორ აფასებთ სოსო ჟღენტის საქმის ცალკე გამოყოფას - ხომ არ შეუშლის ეს ხელს სასამართლო გამოძიებას ჭეშმარიტების დადგენაში?

ნ. მ. - არ არსებობს ბუნებაში ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ "დემოკრატიულ საქართველოში" ისეთი რა, რაც ამ სასამართლო-სამსჯავრო გამოძიებას და, შესაბამისად, მისეული "ჭეშმარიტების" დადგენას ხელს შეუშლის. აქ ყველაფერი დიდი ხანია გადაწყვეტილიც აქვთ და "დადგენილიც".

კორ. - არის თუ არა საქმეში თქვენი ბრალეულობის დამადასტურებელი რაიმე კონკრეტული მტკიცებულებები?

ნ. მ. - რის კონკრეტიკა, რა კონკრეტიკა. განა სერიოზული, თავისი თავის პატივისმცემელი "დემოკრატი" ამბობანა წვრილმანებზე თავს შეიწუხებს?

კორ. - უკანასკნელი წლის მანძილზე სახელმწიფო გადატრიალების არაერთი ორგანიზატორი დაამტიმრეს. რა მიზანს ისახავს ეს ტენდენცია და, როგორ ფიქრობთ, შეძლებს თუ არა ეს სია?

ნ. მ. - სია აუცილებლად გაგრძელდება. ამის ჩანასახები ჩვენს საქმეშიც არის. მიზანი რამდენიმეა: ერთი - დეგენერაციული რეჟიმის სიმარი კრასრეაბილიტაცია (რა გამოუვალი აქედან ეშმაკმაც არ იცის); მეორე - რეჟიმის ფასადის კოსმეტიკური გამოკეკლეცვა მისგან ოდიოზური ფიგურების ჩამოშორებით; მაგრამ საინტერესო ის არის, ყველაზე ოდიოზური ფიგურა, კეისრის ცოლივით, ყოველგვარი ეჭვის გარეშეა. მესამე - ამ "კეისრის ცოლის" ნეიტრალურ ძალად წარმოჩენა: აი, შეხედე, უმადურო საქართველოვ, რა გაგიკეთეს ნეს გათახსირებულმა ზვიადისტებმა და არანაკლებ გათახსირებულმა ჯაბა-თოგიზებმა! სამაგიეროდ, შეიშრე ცრემლები და იმედს ნუ გადაიწურავ. ბაღიდან დაგვიბრუნდა ედუარდ "დაბრუნებული". ნახეთ, როგორ აშენებენ ჩვენი სამშობლო!

ხვიჩა ჯოხაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა

ხვიჩა ჯოხაძეს, "ყვარლის ბიჭებს" შორის ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდას, 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში პატიმრობის მოხდით, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურმა ჩვეული "გულმოწყალება" გამოიჩინა მის მიმართ და ჯანმრთელობის კრიტიკული მდგომარეობის გამო, რამდენმე ხნის წინ გაუნახევრა სასჯელი(?!). არადა, ჯოხაძის მდგომარეობა იმდენად მძიმეა,რომ მისთვის პატიმრობაში ყოფნის ყოველი საათიც კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

"ყვარლის საქმეზე" მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა - ის თვეების მანძილზე ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება და მხოლოდ მედპერსონალის ყოვედღიური ზედამხედველობა და ძალისხმევა უხანგრძლივების არსებობას 23 წლის ახალგაზრდას.

რომ არა 1987 წლის 30 ოქტომბრის საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის №213 ბრძანებულება ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო პატიმართა ჩამოწერის, ანუ გათავისუფლების შესახებ, რომლითაც გაურკვეველი მიზეზების გამო დღესაც ხელმძღვანელობენ საქართველოს შსს და მისი სამართველო, ხვიჩა ჯოხაძე, ძიების დროს წამებების გამო ფსიქიკურად შეურაცხადი და ამ მიზეზით დღემდე გაუსამართლებელი, ფოთის სპეცდაწესებულებაში მოთავსებული ზურაბ წირღვავა. დიაბეტის მძიმე ფორმით დაავადებული, ნემო ჭანტურია და მრავალი სხვა პატიმარი, უკვე დიდი ხანია გათავისუფლებულები უნდა იყვნენ პატიმრობის პირობებისთვის მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეუსაბამობის გამო.

ზემოაღნიშნულ ბრძანებას კანონის ძალაც რომ ჰქონდეს, ის არ წარმოადგენს არანაირ იურიდიულ დოკუმენტს დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის - საქართველოსთვის. სსრკ ხომ კარგა ხანია დაიშალა და მისი სამართალმემკვიდრე დღესდღეობით რუსეთია. ამდენად, არარსებული ნორმატიული აქტების საფუძველზე, ან უფრო სწორად კანონის არარსებობის გამო, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პატიმრების ბედი დამოკიდებულია არა კომპეტენტური სამედიცინო კონსილიუმის დასკვნაზე, არამედ ხელისუფლებისადმი მორჩილი ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებისა და შეწყალების კომისიის გადაწყვეტილებაზე.

პოლიტპატიმრის საპროტესტო აქცია გრძელდება

12 მარტს თბილისის №1 იზოლატორში მოთავსებულმა პოლიტპატიმარმა გიორგი ყორბეაშვილმა, გამომძიებელ ოთარ ჯაფარიძის მიერ ძიების მასალების გაყალბების გამო, შიმშილობა გამოაცხადა. იმავე დღეს მან პროტესტით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებს, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯერჯერობით მის საპროტესტო შიმშილობას ზემოაღნიშნული ორგანოების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

ოჯახის წევრთა მოთხოვნის საფუძველზე და შსს-ს სამედიცინო სამსახურის დავალებით, პოლიტპატიმარი ინახულა ციხის მთავარმა ექიმმა - თ.შაიშმელაშვილმა. მისი ინფორმაციით, გიორგი ყორბეაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია. მიუხედავად ოჯახის წევრთა დაჟინებული მოთხოვნისა და პოლიტპატიმრის მძიმე ფიზიკური მდგომარეობისა (რამდენიმე ხნის წინ მას გაუკეთდა რთული ორთოპედიული ოპერაცია, რომ არაფერი ვთქვათ წამების გამო თვითმკვლელობის სამი მცდელობის შესახებ წინასწარი ძიების ადრეულ ეტაპზე), გამომძიებელი ო.ჯაფარიძე უკვე სამი თვეა ნახვის ნებართვას არ აძლევს მათ. ყორბეაშვილის ახლობლები სერიოზულ ეჭვს გამოთქვამენ, რომ ეს შიმშილობა პოლიტპატიმრის საპროტესტო განცხადებებითა და საჩივრებით გაღიზიანებული გამომძიებლების მხრიდან განხორციელებული ხელახალი ზეწოლის შედეგია. ისინი კატეგორიულად მოითხოვენ გიორგი ყორბეაშვილთან შეხვედრას და მთელს პასუხისმგებლობას მოსალოდნელი მძიმე გართულებების გამო აკისრებენ გამომძიებელ ოთარ ჯაფარიძეს.

18-19 მარტს, უზენაეს სასამართლოში გამართულ პოლიტიკურ პროცესზე წაკითხული იქნა კანონიერი გვარდიის ოფიცრის, ჯამბულ ბოკუჩავას მიერ წინასწარი ძიების დროს მიცემული ჩვენებები.

"შევალებოდა ბანდიტური ჯგუფების გამოვლენა და აყვანა. დამნაშავეებს ვათავსებდით ზუგდიდის იზოლატორში. როგორც ოპერატიული სამსახურის უფროსი, ვემორჩილებოდი გვარდიის მთავარი სამმართველოს სარდლობას. მყავდა 50 კაცი, აქედან ავტომატი ჰქონდა 30-ს. ეს იარაღი ზოგს თვითონ ჰქონდა, როგოც ყოფილ გვარდიელს, ზოგიც მოვიპოვეთ ყაჩაღური დაჯგუფებების, აგრეთვე აფხაზეთიდან გამოქცეული მარდიორებისა და დეზერტირებისგან. გვქონდა აგრეთვე ერთი ჯავშანტრანსპორტიორი, რომელსაც საპატრულო სამსახურისთვის ვიყენებდით. მონაწილეობას ვღებულობდი აფხაზეთის ომში, კერძოდ შრომაში, ტამიშში და ცუგუროვკაში. ჩვენი მონაწილეობის საკითხი ამ ბრძოლებში შეთანხმებული იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან. აფხაზეთის ომში სხვადასხვა დროს მონაწილეობდა კანონიერი გვარდიის შენაერთები ჯ. ქობალიას, ლაკიას, ჟღენტის, ჩხეიძის, ზარანდიას, ელიავას, ბაძაღუას, თოდუას, ოთხოზორიას მეთაურობით.

ადგილობრივ პოლიციასთან ჩემს შენაერთს კონფლიქტი არ ჰქონია, გარდა ერთი ეპიზოდისა, როდესაც მოლაპარაკების პერიოდში ბენსონის გასამართთან ალყა შემოგვარტყა მ. დადიანის ჯგუფმა. ჩვენ დავაკავეთ ისინი და ეკითხეთ ასეთი საქციელის მიზეზი. დადიანმა გვიპასუხა, რომ ასრულებს თავისი უფროსის, ზუგდიდის უშიშროების სამსახურის შეფის, ადამიას დავალებას.

სხვა დროს შევხვდით სამ უცხოელ ჟურნალისტს, რომლებიც დაუყაჩაღებიათ - წაურთმევიათ მანქანა და აპარატურა. ვიპოვეთ ნაძარცვი და უკლებლივ ყველაფერი დაუბრუნეთ პატრონებს.

ჩემს სახელს ქართველის სისხლი არ ადევს ცოდვად, მარტო დაჭრილი მყავს ერთი ჩვენი გვარდიელი ფეხებში. ამის მიზეზი ის იყო, რომ იგი რამდენიმეჯერ შეეხვეწნენ მთვრალ მდგომარეობაში და საგანგებოდ გავაფრთხილე. როდესაც კვლავ ენახე გამგეობის კიბეზე მთვრალი და დისციპლინის დარღვევისთვის ვუსაყვედურე, არ დამემორჩილა, ფეხში დაჭერი და საავადმყოფოში გავაგზავნე."

შემდგომ ჯ. ბოკუჩავას ჩვენება შეეხო მის საქმიანობას კანონიერ გვარდიაში მოსვლამდე. იგი ცხოვრობდა უკრაინაში, მაგრამ ჩამოდიოდა ხოლმე საქართველოში. მონაწილეობა მიიღო 1990 წლის 28 ოქტომბრის და 1991 წლის 26 მაისის არჩევნებში. იყო ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი, თუმცა პირადად არ იცნობდა. 1991 წლის ბოლოს, როდესაც შეიტყო საქართველოში მიმდინარე სამხედრო გადატრიალების შესახებ, სასწრაფოდ ჩამოვიდა ზუგდიდში კანონიერი ხელისუფლების დაცვის მიზნით, მაგრამ მთავრობის სახლთან ომებში მონაწილეობა არ მიუღია.

1993 წლის 2 სექტემბერს ხალხის მოთხოვნით გადაწყდა პრეზიდენტის დაბრუნება. 24 სექტემბერს ზვიად გამსახურდია ჩამოვიდა ზუგდიდში და მისი ხელმძღვანელობით გადაწყდა აფხაზეთის დაცვა ერთიანი ფრონტით. ტამიშში და ოჩამჩირეში პრეზიდენტი შეხვდა სამთავრობო ძალებს. მან განუმარტა მებრძოლებს, რომ ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ ხორციელდება სოხუმის ჩაბარება და შესთავაზა ერთიანი ძალებით ბრძოლა აფხაზეთის დასაცავად.

პოლიტიკური პროცესი გრძელდება

ლტოლვილებთან დაკავშირებით ბოკუჩავამ განაცხადა, რომ მათი გამოსვლისთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია, ლტოლვილების წასვლა სვანეთის გზით გამოიწვია იმან, რომ სამთავრობო ჯარმა ვერ უზრუნველყო ტამიშის ბრძოლების შედეგად განთავისუფლებულ ტერიტორიაზე გასასვლელის შექმნა.

მოსამართლემ გაოცება გამოთქვა იმის გამო, რომ ოპერატიული სამსახურისა და დაზვერვის უფროსი, ჯ. ბოკუჩავა სათანადოდ არ იყო ინფორმირებული აფხაზეთში მიმდინარე მოვლენათა შესახებ. კერძოდ, ქიშმარიასთან მოლაპარაკებები და ორი ავტობუსით აფხაზეთიდან მებრძოლების შემოყვანა მოხდა მისგან დამოუკიდებლად, რაზეც განასჯელმა მიუგო, რომ მუშაობა უხდებოდა ექსტრემალურ პირობებში და ამიტომ ყველა მოთხოვნას ვერ პასუხობდა.

შემდგომ ამისა მოსამართლის კითხვები კვლავ შეეხო განასჯელის შესვლას გვარდიაში 1992 წელს და იმ დროს არსებულ გვარდიის სამმართველოსა და შტაბის სტრუქტურებს. კითხვაზე - ჰყავდა თუ არა აგენტურა და გააჩნდა თუ არა ინფორმაცია არასამხედრო პირთა შესახებ, მოსამართლემ დადებითი პასუხი მიიღო.

განასჯელის ჩვენებას, რომ აფხაზეთის ტერიტორიიდან შემოყვანილ მებრძოლებს შეტაკებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მოჰყვა მოსამართლის რეპლიკა: "აბა, ექსკურსიაზე იყვნენ, გაიეირნეს?".

განასჯელის შემდგომ ჩვენებებში გადმოცემული იყო მისი დაკავების ამბავი 1994 წლის 2 სექტემბერს, ქალაქ ქობულეთში, უშიშროების სამსახურის ჯგუფების "ალფასა" და "ომეგას" მიერ. ამ პერიოდში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ი. გიორგაძესა და ა. ოსელიანთან იარაღის ჩაბარებისა და ჯგუფის წევრთა უსაფრთხოების თაობაზე. კანონიერი გვარდიის შენაერთებს სთავაზობდნენ შეიარაღებულ შეიარაღებულ უშიშროების სამსახურში სამსახურში. ტურაში, მაგრამ ამას [illegible] დათანხმდნენ - "მოლაპარაკებაზე წაყვანილ აბსანძესთან და ჩოლოყაშვილთან შეთანხმების შემდეგ, რადგან ბიჭებს უკვე ძალიან გაუჭირდათ ტყეში ყოფნა." - განმარტა ჯ. ბოკუჩავამ. ამ მომენტზე მოსამართლემ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება და არაერთგზის შეუბრუნა კითხვა განასჯელს: "როგორ, თქვენ კვლავ აბსანძესთან ათანხმებდით სადავო საკითხებს, მას შემდეგ, რაც იგი გაურკვეველ ვითარებაში დაშორდა გამსახურდიას, რასაც უახლოეს მომავალში პრეზიდენტის დაღუპვა მოჰყვა?"

მოსამართლე განასჯელისგან ასევე დაეინტერესებინა ამ უკანასკნელს განემარტა, თუ რატომ ვერ უზრუნველყო მან პრეზიდენტის პირადი უსაფრთხოება, რაც მის მთავარ სამსახურებრივ მოვალეობას წარმოადგენდა. ა. ალადაშვილის ასეთმა დაინტერესებამ პრეზიდენტის სიცოცხლის დაცვასთან დაკავშირებული გარემოებებით, დამწრეთა გაოცება გამოიწვია.

მოსამართლე აგრეთვე დაინტერესდა პრეზიდენტის დაცვის წევრის რ. მარგველანის თბილისთან სატელეფონო საუბრების ჩანაწერების შინაარსით და იმით, თუ რატომ არ მოხდა მათ საფუძველზე მარგველანის დათხოვნა სამსახურიდან. ბოკუჩავამ განაცხადა, რომ ჩანაწერები მისმა სამსახურმა მოიპოვა 1993 წელს და პირადად მან სამჯერ მოახსენა პრეზიდენტს ამის შესახებ აბსანძისა და გუგუშვილის თანდასწრებით: "მე ვთვლიდი, რომ პირადი დაცვა გასათავისუფლებელია, მაგრამ ამას რეაგირება არ მოჰყოლია. ვის უკავშირდებოდა მარგველანი თბილისში და რა იყო ჩანაწერებში, ამის თქმას საჭირო არ ვთვლი."

პროკურორის კითხვაზე, თუ რას გულისხმობს განასჯელი ჩვენებაში, როდესაც ამბობს, რომ პრეზიდენტის სიკვდილში ყველა დანაშაულს და დღეს ამ დანაშაულის შედეგს ვიმკითო, განასჯელმა მიუგო: "ბოლომდე ვერ გაგაკეთეთ გასაკეთებელი, თბილისი უნდა გაგვთავისუფლებინა."

1993 წლის 14 ნოემბერს, ბოკუჩავას მიერ გაგზავნილი ოთხკაციანი ჯგუფი წალენჯიხის ტყეში შეხვდა მარგველანს, რომელსაც უთქვამს: "შტაბის უფროსი, სარდალი და ოპერატიული სამსახურის უფროსი მოდალატეები არიან. პრეზიდენტმა თქვა - როცა დავუძახებ მოვიდნენ, ახლა საჭირო არ არიანო."

27 დეკემბერს ბოკუჩავა უნდა შეხვედროდა პრეზიდენტს, მაგრამ მეკავშირე დაიჭირეს. "მანამდე კიდევ ორი კაცი გავაგზავნე, მაგრამ პრეზიდენტი ძველ ადგილზე აღარ იყო. მისი დაღუპვის

ჯამბულ ბოკუჩავა პასუხობს ზვიად ძიძიგურის კითხვებს

20 მარტს, უზენაეს სასამართლოში გამართულ პროცესზე, კანონიერი გვარდიის ოფიცერ, განსასჯელ ჯ. ბოკუჩავასთვის კითხვების დასმის შესაძლებლობა მიეცა უზენაესი საბჭოს დეპუტატს, განსასჯელ ზვიად ძიძიგურს.

ზვიად ძიძიგური: - 1992 წლის იანვარის პირველ რიცხვებში, როდესაც თქვენ უკრაინიდან ზუგდიდში ჩახვედით, რა ვითარება დაგხვდათ იქ?

ჯამბულ ბოკუჩავა: - 3-4 იანვარს სამეგრელოდან თბილისისკენ ავტობუსებით გამოემართა ათიათასობით ადამიანი კანონიერი ხელისუფლების მხარდასაჭერი მიტინგის ჩასატარებლად, მაგრამ ქუთაისთან შეიარაღებულმა შენაერთებმა ტყვია დაუშინეს მშვიდობიან ხალხს. იანვრის ბოლოს პუტჩისტები პირველად შემოვიდნენ სამეგრელოში და ხელი მიჰყვეს მოსახლეობის რბევას. შემდეგ შემოგვესიენ "მხედრიონი", დაიწყო მასიური ძარცვა. წალენჯიხა საშინლად ააწიოკა სამთავრობო ჯარმა, ხელი მიჰყო მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვას, სახლების გადაწვას, დაიწყო დაპატიმრებები, დაკითხვებზე აწამებდნენ დაპატიმრებულებს. წალენჯიხის მცხოვრებლები იძულებულნი გახდნენ გაქცეულიყვნენ და სანამ მძარცველები მორჩებოდნენ თავიანთ საქმიანობას, თავი ახლო-მახლო სოფლებისთვის შეეფარებინათ.

ზ. ძ. - რამ გაიძულათ უკრაინიდან ჩამოსულიყავით და იარაღი აგეღოთ ხელში?

ჯ. ბ. - კანონიერების დაცვის სურვილმა.

ზ. ძ. - საბრალდებო დასკვნის მიხედვით, თქვენ გეგმაში გქონდათ საქართველო მიგეყვანათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრახამდე. რა მიზნითაც შექმენით ბანდიტური დაჯგუფება, როგორი იყო ამ ბანდის სტრუქტურა და კონკრეტული მიზნები?

ჯ. ბ. - ბანდის სტრუქტურა გახლდათ პრეზიდენტი, უზენაესი საბჭო, პრემიერ-მინისტრი და ეროვნული გვარდია, ხოლო ჩემს მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ძლიერებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა.

ზ. ძ. - რით ხელმძღვანელობდა ეროვნული გვარდიის სამმართველო და შტაბი თავის მოქმედებებში?

ჯ. ბ. - ჩვენ ვხელმძღვანელობდით უზენაესი საბჭოს დადგენილებით, რომლის მიხედვით, ვალდებულნი ვიყავით გადაგვესროლა დამხარე ძალები აფხაზეთში, მაგრამ აუცილებლად სამეგრელოშიც დაგვეტოვებინა საკმაო ძალა რეგიონის დასაცავად.

ზ. ძ. - რით იყო განპირობებული ასეთი დადგენილება?

ჯ. ბ. - იმით, რომ ეროვნული გვარდიის ნაწილების მონაწილეობას აფხაზეთის ომში მოჰყვებოდა ხოლმე ფაქტობრივი ხელისუფლების ძალების შესვლა სამეგრელოში. მაგალითად, 1993 წლის 28 აპრილს შევედით ოჩამჩირის რაიონში და დავიკავეთ პოზიციები. მეორე დღესვე "მხედრიონი" და შინაგანი ჯარი შემოვიდნენ სენაკში, ჩხოროწყუში, წალენჯიხაში. ჩაატარეს უხეში სადამსჯელო ოპერაცია აწიოკებთ და ძარცვით. მე გამოვედი ოჩამჩირიდან სამეგრელოს მოსახლეობის დასაცავად. ასეთი შემთხვევა განმეორდა რამდენჯერმე. ეს ხდებოდა სპეციალურად, რადგან ფაქტობრივ ხელისუფლებას არ სურდა აფხაზეთის ომში გამარჯვება.

ზ. ძ. - როგორც ვიცით, გალის ბატალიონის უფროსს ბაძაღუასა და ფაქტობრივ ხელისუფლებას შორის არსებობდა ხელშეკრულება რკინიგზის დაცვის თაობაზე. აღმოჩნდა, რომ მთავრობა, თურმე, უკმაყოფილო ყოფილა დაცვით, ხომ არ დამდგარა ამ ხელშეკრულების გაუქმების საკითხი?

ჯ. ბ. - 27 დეკემბრის ხელშეკრულება რკინიგზის დაცვაზე ახლაც მოქმედებაშია.

ზ. ძ. - ხომ არ იცით, რა მდგომარეობა იყო აღმოსავლეთ საქართველოს რკინიგზებზე იმ პერიოდში.

ჯ. ბ. - იმ პერიოდში საქართველოს რკინიგზებზე ერთი და იგივე რამ ხდებოდა - იძარცვებოდა ყველაფერი. მგონი, რემი ვაშაკიძეც ამიტომ ხის.

ზ. ძ. - ჩხერეკის დროს თქვენი სახლიდან თუ ამოიღეს ის საქონელი, რომელიც დატაცებული სარკინიგზო ტვირთებიდან თქვენი ბანდის მიერ?

ჯ. ბ. - ჩემი სახლიდან ამოიღეს ჩემი საკუთარი ხალიჩა, ტელევიზორი, ფარდები, ერთი წყვილი ხის საწოლი.

ზ. ძ. - როგორ მოხდა სენაკის გათავისუფლება, მძიმე ბრძოლები იყო?

ჯ. ბ. - ბრძოლები მიმდინარეობდა სულ 27 ტყვია-წამლით არ გვამარაგებდა, როგორც ვ. ქობალიას ჩვენებიდანაც ჩანს, ოჩამჩირის საწყობები სავსე იყო ტყვია-წამლით, ჩვენი მებრძოლებისთვის კი ორ-სამ შეკვრას ძლივს გაიმეტებდნენ ხოლმე.

ზ. ძ. - თვით სამთავრობო ჯარებს ერთიანი სამხედრო ხელმძღვანელობა თუ ჰყავდა?

ჯ. ბ. - არა, რა თქმა უნდა, არა. იქ სრული ანარქია სუფევდა.

ზ. ძ. - კანონიერი ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელმა თუ მიიღო მონაწილეობა 1992 წლის 3 სექტემბრის, 1994 წლის 14 მაისის და 27 ივლისის ხელშეკრულებების ხელმოწერაში?

ჯ. ბ. - ყველა ეს ხელშეკრულება იყო მოლალატური და მათ ხელმოწერაში კანონიერ ხელისუფლებას და ეროვნული გვარდიის სარდლობას მონაწილეობა არ მიუღია.

ზ. ძ. - თქვენ, როგორც ოფიცერი, რას იტყვით, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა წარუმატებელი სამხედრო კამპანიისთვის?

ჯ. ბ. - უმაღლეს მთავარსარდალს.

ზ. ძ. - რას იტყვით ლტოლვილების სვანეთის გზით გამოსვლასთან დაკავშირებით?

ჯ. ბ. - ლტოლვილები სპეციალურად შერეკეს ალყაში, რომ კარგად გაეძარცვა სამთავრობო ჯარს, ხოლო კანონიერი ხელისუფლება, პირადად პრეზიდენტის დავალებით, ხელმძღვანელობდა მათ გამოყვანას და განთავსებას.

ზ. ძ. - რამდენი ლტოლვილი მიიღო ოქტომბრის ბოლომდე ზუგდიდის რაიონმა?

ჯ. ბ. - 150-170 ათასამდე.

ზ. ძ. - რა იცით რუსის დესანტის გამოყენების თაობაზე კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ?

ჯ. ბ. - რუსები გვებრძოდნენ ყველგან - მარტვილში, ფოთში, სამტრედიაში. მაგალითად, მარტვილში იყო სამხედრო ნაწილი №73-947 - სატანკო შენაერთი მაიორ ზუბჩიკის მეთაურობით. მათ გაგვიხსნეს ცეცხლი. საპასუხო ცეცხლით გავანადგურეთ მათი ტექნიკა და მომსახურე პერსონალი, თავად ოლეგ ზუბჩიკი ტყვედ ავიყვანეთ. ეს მოხდა 4 ოქტომბერს. სამტრედიასთანაც ასევე რუსები გვებრძოდნენ T-80 მარკის უახლესი ტანკებით. ფოთში გადმოხეხეს ხაზღვაო დესანტი, ხოლო ხობში - სამთავრობო ჯარის ტანკის ყველა მესაჭე რუსი იყო. უშიშროების სამსახურის საბრძოლო ქვედანაყოფი შედგებოდა სულ სხვა ეროვნების მებრძოლებისგან - რუსების, სომხების, უზბეკებისგან...

ზ. ძ. - სენაკში ოქტომბრის თვეში, საბრალდებო დასკვნის მიხედვით, დაინგრა 2950 შენობა, ავტომატით ამის გაკეთება შეუძლებელია. რა ტექნიკის საშუალებით განახორციელეს ასეთი ნგრევა?

ჯ. ბ. - ნგრევა მოახდინა სამთავრობო ძალების ავიაციამ, რომელიც სუ-27 ტიპის თვითმფრინავებიდან და ხუთქიმიანი ვარსკვლავის ნიშნიანი ვერტმფრენებიდან ბომბავდა ქალაქს არტილერიასთან ერთად.

შემდგომ ამისა ზვიად ძიძიგურმა დააყენა შუამდგომლობა სხდომის რამდენიმე დღით გადადების თაობაზე, რათა მას შესაძლებლობა მიეცეს დამატებით შეისწავლოს საქმის რამდენიმე ტომი.

მოსამართლე ალადაშვილმა დააკმაყოფილა ძიძიგურის თხოვნა.

საქართველოს ძლიერებისთვის ვიბრძოდი

გვერდი მოამზადეს ს. გურამიშვილმა და ნ. ჩეჩელაშვილმა

კონსტანტინე გამსახურდია

ზვიად გამსახურდია

დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე

(წიგნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)

თავი მესამე

დისიდენტობა

(გაგრძელება)

რუს დისიდენტებს, რომელთათვის მეტად ძვირფასი და მნიშვნელოვანი იყო თვით იდეა დისიდენტობისა, შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ თანამოაზრეებთან. გამოჩენილი დისიდენტი ანდრეი სახაროვი პროფესორ ვაიცკოფთან ერთად (რუსული ატომური ფიზიკის უხუცესი მეცნიერი) თბილისში ჩამოვიდა. მან შესანიშნავად იცოდა უშიშროების სამსახურის მუშაობის სტილი და ამიტომ წინასწარ დაურეკა გამსახურდიას: "თქვენ საქმე ცუდად წაგივათ, მე თუ გიწვევით." პასუხი სრულიად ცალსახა იყო: "ამაზე ნუ იდარდებთ, ჩვენ უკვე საკმაოდ რეპრესირებულნი ვართ."

შეხვედრა შედგა. იმნაირად ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან აქ დისიდენტური მოძრაობის სერიოზული ამოცანები დისახა. თუმცა, სახაროვისა და გამსახურდიას ადრინდელი თბილი, მეგობრული ურთიერთობა პერესტროიკის შემდეგ გაცივდა. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ სახაროვის მეუღლემ - ელენე ბონერმა შეშფოთება გამოხატა "ქართული იმპერიის" აგრესიული პოლიტიკის გამო. სინამდვილეში საქმე ეხებოდა კულტურულ-სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებას (მისი შედარება შეიძლებოდა შვეიცარიის კონფედერაციასთან), - რისი პირობებიც ორგანულად შეიქმნა ყოველგვარი ძალის გამოყენების გარეშე. მაგრამ სახაროვი ხელმძღვანელობდა ჯუდრო უილსონის აბსტრაქტული შეხედულებებით ეთნიკური ჯგუფების "თვითგამორკვევის" შესახებ. მას სურდა 15 საბჭოთა რესპუბლიკა 100 პატარა სახელმწიფოდ დაეყო, რომელთა რიცხვში საქართველო[illegible] განუყოფელი ტერიტორიუ[illegible] - აფხაზეთი და ოსეთი[illegible] შედ[illegible]

სახაროვის ეჭვები გამ[illegible]ა. მისი სტუმრობის შემდეგ მასპინძლები დაპატიმრეს. მათ ბრალი ედებოდათ ანტისაბჭოთა საქმიანობაში. პროცესამდე პატიმრები მოსკოვის ფსიქიატრიის ინსტიტუტში გადაყვანეს, სადაც მათზე ახდენდნენ ძლიერ ქიმიურ და ფსიქიკურ ზემოქმედებას. ორივემ არაერთხელ გამოაცხადა შიმშილობა, მაგრამ მათ იძულებით კვებავდნენ. რკინის ძაბრის მეშვეობით, რომელსაც ძალით უდებდნენ პირში და ხშირად კბილებსაც გვარიანად უზიანებდნენ, ორგანიზმში შეჰყავდათ რძის, კვერცხისა და შაქრის ნაზავი. ეს მეთოდი ცნობილია შეერთებულ შტატებში.

კოსტავა და გამსახურდია შეერთებული შტატების კონგრესმა ნობელის პრემიაზე წარადგინა, მაგრამ ნორვეგიის წარმომადგენელმა სახიფათო მეზობლების გაღიზიანების შიშით აცილება მისცა მათ კანდიდატურას (პრემია მენახემ ბეგინმა და ანვარ ას სადათმა მიიღეს). ამავე პერიოდში შვეიცარიელმა პარლამენტარმ რიჩარდ ფრეშ დიწო ხელმოწერების შეგროვება ქართველი პოლიტპატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით. ამ პეტიციას სხვებთან ერთად ხელი მოაწერეს გამოჩენილმა შვეიცარიელმა მწერლებმა მაქს ფრიშმა და ფრიდრიხ დიურენმატმა. პეტიცია გადაეცა საბჭოთა საელჩოს ბერნში.

1978 წლის ივლისში გამოტანილი იქნა განაჩენი: სამი წლით პატიმრობა და ორწლიანი გადასახლება. ზვიად გამსახურდია საბოლოოდ ნოგაის ნახევარუდაბნოში მოხვდა (თუ როგორ განთავისუფლდა 1979 წელს ქვემოთ იქნება აღწერილი).

მერაბ კოსტავა გაიგზავნა პერმის პოლიტპატიმართა ლაგერში, შემდგომში ირკუტსკში მოუწევდა გადასვლა.

განაჩენის გამოტანიდან მცირე დრო იყო გასული, როცა გამსახურდიას ტელევიზიით გამოსვლის "უფლება" მიეცა საჯარო მონანიებისთვის. გადაცემა მრავალგზის განმეორდა. მისმა ამგვარმა საქციელმა საზოგადოებაში გაუგებრობა გამოიწვია. ზოგი მიიჩნევდა, რომ ეს სისუსტის ნიშანი იყო. სხვები ფიქრობდნენ, რომ გამსახურდია ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ლაპარაკობდა. სინამდვილეში საქმის ვითარება სხვაგვარად იყო. როგორც მოსკოვის ციხეში წარმოებული დაკითხვებიდან ჩანს, უშიშროების კომიტეტს ყველაზე მეტად ორი რამ აშფოთებდა. ერთი შეეხებოდა საზღვარგარეთის რუსული ანტისაბჭოთა ორგანიზაციის **"НТС"** (ნაროდნო-ტრუდოვოი სოიუზ) პროკლამაციის გადმოცემას "საქართველოს მოამბეში". მეორე იყო ამერიკულ ჟურნალში დაბეჭდილი პუბლიკაცია, სადაც გამსახურდიას ადარებდნენ მაკნამარას - ვიეტნამის ომის ერთ-ერთ ინიციატორს. წერილში აღნიშნული იყო, რომ ქართველი დისიდენტი აშშ-სგან გადამჭრელი ზომების ღებულებას მოითხოვდა. უშიშროების კომიტეტმა გადწყვიტა გამსახურდიას გაცვლა პინოჩეტის წინააღმდეგ მებრძოლ ჩილელ კომუნისტთა ლიდერში - ლუის კორვალანში. ეს, რა თქმა უნდა, ზვიადის საბჭოთა კავშირიდან გაძევებას მოასწავებდა, რითაც მის შემდგომ მოღვაწეობას ბოლო მოეღებოდა. ამის ნიშანი იყო აგრეთვე გამსახურდიას გადაყვანა ლეფორტოვოს ციხეში, სადაც ათავსებდნენ პოლიტპატიმრებს საზღვარგარეთ გაძევების წინ.

უშიშროების კომიტეტის ამგვარმა გადწყვეტილებამ განაპირობა გამსახურდიას ტაქტიკური უკანდახევა. ამიტომაც, როცა ლაპარაკობდა, საერთოდ აღარ ახსენებდა ანტიკომუნისტურ შეხედულებებს. პირიქით, ამტკიცებდა, რომ ცდებოდა, როდესაც ყურადღებას არ აქცევდა მამის გაფრთხილებას - რადიკალურად არ დაპირისპირებოდა მთავრობას. ამასთან, პირობას იძლეოდა, რომ შეაჩერებდა ანტისაბჭოთა პროკლამაციების გამოქვეყნებას "საქართველოს გუშაგში".

მოგვიანებით გამსახურდიას კიდევ ერთხელ მოუწია ტელევიზიით გამოსვლა ამერიკელი კორესპონდენტების: პაიპერის და უიტნის პუბლიკაციის გამო. ამერიკელი ჟურნალისტები ამტკიცებდნენ, რომ გამსახურდია "მონანიებისას" ძლიერი წამლების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა (სწორედ ამ ჟურნალისტებმა შეადარეს იგი მაკნამარას). ცხადია, ზვიად გამსახურდიას არ აწყობდა ამგვარი რეპუტაციის შენარჩუნება, ვინაიდან ეშინოდა, რომ გაასახლებდნენ საბჭოთა კავშირიდან, ამიტომ უარყო ეს თეზა. ამით მისი სატელევიზიო გამოსვლები ამოიწურა და 1979 წელს გაათავისუფლეს კიდეც.

მერაბ კოსტავამ 8 წლის შემდეგ, როცა საბოლოოდ დაბრუნდა გადასახლებიდან, უყოყმანოდ დაადასტურა მეგობრის ტაქტიკური ქმედება. [illegible] გასაგონად, ვინც გამსახურდიას საქციელს არ იწონებდა, საჯაროდ განაცხადა: "ზვიადი პირნათელი იყო. ჩვენ წინასწარი მოლაპარაკება გვქონდა ერთმანეთთან. სატელევიზიო გამოსვლის ტექსტიც ერთად შევადგინეთ."

იგივე გაუმეორა გამსახურდიამ თავისუფალ გერმანელ ჟურნალისტებს: იოჰან მიხაელ გინტერსა და ფელიქს შულცს, რომლებიც პრეზიდენტს 1992 წელს გროზნოში შეხვდნენ. კოსტავამ თავად შესთავაზა გამსახურდიას ე.წ. მონანიების ვერსია, რათა სამომავლოდ შესაძლებელი გამხდარიყო იატაკქვეშა საქმიანობის გაგრძელება.

გერმანულიდან თარგმნა
თამარ იაშვილმა

გაგრძელება იქნება

სიტყვა პეტრე გელბახიანზე

დიდი ტკივილი მოგვაყენა გელბახიანების ოჯახის უფროსის, ბატონი პეტრეს დაღუპვამ.

ცამეტი წელი გაატარა საპატიმროში. ეს იყო მეცნიერული მუშაობისთვის განსაკუთრებით საჭირო წლები.

ბატონი პეტრე მრავალი ქვეყნის აკადემიის წევრად იყო არჩეული, მაგრამ ოჯახმა ამის შესახებ არაფერი იცოდა, მხოლოდ მისი დაპატიმრების შემდეგ გაიგო.

ეს ფაქტი დაუჯერებლად გაიელვებს დღევანდელი ახალგაზრდობისთვის, მაგრამ სუკ-ის კლანჭები ვისაც ოდნავ მაინც შეხებია, გაიგებს.

ბოლოს და ბოლოს, ადამიანის ცხოვრების ახე სიტყვა და საქმეა. ბატონ პეტრეს მძლავრი მოქნევა ჰქონდა სიტყვაშიც, საქმეშიც, სიყვარულშიც.

ცნობილი მიზეზის გამო, მამა დაუსწრებლად დაიტირეს შვილმა - ბატონმა გედევანმა და შვილიშვილმა - პეტრემ. როცა ხედავ, თუ როგორ გადაიტანა ბატონმა გედიმ მამის გარდაცვალება, გჯერა, რომ სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლი ბედისწერის დარტყმებს ნამდვილად გაუძლებს.

სიცოცხლე გრძელდება. ყოფრის პეტრე გელბახიანს ეზრდება მომავალი თაობა: გედი, დათო, ოთარი, თინიკო. ღმერთმა გაზარდოს ისინი დიდი ბაბუის სასახელოდ.

გულწრფელ თანაგრძნობას ეუცხადებთ გელბახიანების ოჯახს უფროსი პეტრე გელბახიანის გარდაცვალების გამო.

მოვუწოდებთ მთელ საქართველოს, ერთხელ კიდევ აღიმაღლოს ხმა უმცროსი პეტრე გელბახიანისა და ირაკლი დოკვაძის სიცოცხლის გადასარჩენად.

ავჭალის კოლონიის პოლიტპატიმრები:

ვალტერ შურღაია, გოჩა მახვილაძე, ნემო ჭანტურია, ზურაბ ბარძიმაშვილი, თეიმურაზ კაპანაძე, ზურაბ რაფავა, თამაზ ახობაძე, მურმან ჯინჭარაძე, ნოდარ კვეტნაძე, ბორის მჭედლიძე, გოდერძი ჯოჯიშვილი, გივი კალმახელიძე, ზურაბ გოგიჩაშვილი, მაშუკა აფციაური, გელა სალთხუციშვილი, რევაზ ხაცავა, ლევან ბაძაღუა, გიორგი ფალიანი, შაქრო ჭეჟია, ბადრი ოქროპირიძე, სერგო(გია) ხახვიაშვილი, გელა მჭედლიშვილი, ვიქტორ დომუხოვსკი, დათო ტალაშვილი, ჯემალ ოკუჯავა.

TAVISUPALI SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

No10 (in brief)

26 March - 1 April 1996

Jambul Bokuchava Answers...

On March 20 at the trial which is going on in the Supreme Court, the deputy of the Supreme Council, defendant Zviad Dzidziguri was given the opportunity to put questions to the officer of National Guards, defendant J. Bokuchava.

Zviad Dzidziguri: "Can you tell what situation was in Zugdidi when you arrived there from Ukraine in the beginning of January 1992?

Jambul Bokuchava: On January 3-4 thousands of people started from Tbilisi to Zugdidi to support the lawful authorities and conduct a mass-meeting, but near Kutaisi they were met with armed formation. These latter began to fire at the peaceful people. By the end of January the rebels for the first time entered Samegrelo and immediately started to raid the people. Then we were attacked by "Mkhedrioni" an mass robbery started. Tsalenjikha was unmercifully raided by the governmental troops which started mass slaughtering of the peaceful population, robbery f their dwelling houses, mass arrests of people. At the interrogations people were tortured. The residents of Tsalenjikha were induced to hide in the families of their relatives and friends in other villages to escape death. They were staying in their hiding places until the robbers were through with their activities.

Z.D.: What made you to return from Ukraine and take arms?

J.B.: The wish to defend the lawfulness.

Z.D.: In accordance with the Indictment, you were planning to bring Georgia to the political and economic crush ad with this aim you had formed a bandit group. What was the structure of this group and what were its goals?

J.B.: The structure was as follows: President, Supreme Court, Prime-Minister and National Guards. As for my goal, it was fighting for the strength and independence of Georgia.

Z.D.: What The Department of the National Guards an Headquarters were guided with in their activities?

J.B.: We were acting under the statement of the Supreme Council according to which we were obliged to send the armed forces to Abkhazia but at the same time we had to leave the armed troops in Samegrelo in amount which would be sufficient to defend it.

Z.D.: What were the reasons for making such statement?

J.B.: The main reason was that in case if the National Guards completely took part in war actions in Abkhazia, the armed forces of actual authorities would have immediately entered Samegrelo.

Thus, for example, on April 28, 1993 we entered Ochamchire region and occupied adequate positions. The very next day "Mkhedrioni" and internal troops entered Senaki, Chkhorotsku, Tsalenjikha. They carried out brutal punitive operation accompanied with raiding and robbing of population. Such situation repeated several times. All this was done on purpose since the actual authorities did not have any wish to win the war in Abkhazia.

Z.D.: Can you tell the circumstances under which was liberated Senaki? Were there bloodshedding battles?

J.B.: The battle lasted for 27 minutes only, wile it took less than 2 hours to completely free Senaki from the armed forces of actual authorities. Total of 500 soldiers an officers were participating in this operation. Their commander was Mr. Eliava. It happened on August 28, 1993.

Z.D.: What were doing the local police forces?

J.B.: The police did not resist us. This picture repeated in all other places including Senaki.

Z.D.: Who were your allies during the battles in Tamish?

J.B.: In summer of 1993 we were fighting together with "Mkhedrioni" and Guards detachments. The government did not provide us with ammunition.

As it is clear from the testimonies of Mr. Vakhtang Kobalia, the Ochamchire warehouses were full with ammunition, while our soldiers were from time to time given negligible trifles.

Z.D.: Did the governmental troops have the united commandment?

J.B.: No, definitely not. Total anarchy was reigning there.

Z.D.: As an office, can you tell who was responsible for this unsuccessful military campaign?

J.B.: The Commander-in-Chief.

Z.D.: What can you say about rescuing the refugees by Svaneti route?

J.B.: The refugees were intentionally trapped into encirclement so that they could be well robbed by the governmental troops, while the lawful authorities under the personal order of the President were engaged in saving these people and finding them places for temporal residence.

Z.D.: How many refugees did Zugdidi Region shelter by the end of October?

J.B.: About 150-170 thousand.

Z.D.: What do you know about using Russian landing forces against the lawful authorities?

J.B.: Russians were fighting against us everywhere - in Martvili, Poti, Samtredia. Thus, for example, in Martvili was located tank-detachment #73-947 under the commandment of Major Zubchik. They opened fire to us. In answer we destroyed their military technique and living forces. As for the Major Zubchik we captured him. It happened on October 4. In the outskirts of Samtredia Russians were fighting with us using the latest model of tanks T-80. In Poti they landed marine landing forces, while in Khobi all drivers of the governmental tanks were Russians. The military detachment of the Security Service completely consisted of people of foreign nationalities: Russians, Armenians, Uzebecks...

Z.D.: In accordance with the Indictment, in Senaki in October were ruined 2950 buildings. To do it armed with guns only is impossible. What technique did you use to achieve such results?

J.B.: The buildings were ruined by the aviation of the governmntal troops who were bombarding the city from the Su-27 planes and helicopters with five rays stars on them together with the artillery.

After this Mr. Zviad Dzidziguri put a motion to postpone the Court Session for several days to have the time to additionally study several volumes of the Case. Judge Aladashvili satisfied the request of the defendant.

The Protest Action of the Political Prisoner Continues

On March 12 the political prisoner Giorgi Korbesashvili who is kept in Tbilisi #1 Detention Cell, declared a hunger-strike in protest against falsification of the materials of investigation by the investigator Otar Japaridze. On the same day he appealed with his protest to the Prosecutor's Office and Human Rights Organizations of the Republic. However, as it was anticipated, the above bodies did not show any response to his protest action.

The relatives of Mr. Korbesashvili are very concerned and suppose that this hunger-strike is the result of the increased pressure from the investigators who are irritated by the protest statements and complains of the political prisoner. They firmly demand to be allowed to meet the defendant and make the investigator Otar Japaridze responsible for all possible serious results.

The Health State of Khvicha Jokhadze is Persistently Severe

One of the youngest participant of the so-called "Kvareli Forest Case" Mr. Khvicha Jokhadze was sentenced to 12 year imprisonment with servicing his term in the colony with the strict regime. The state of health of the prisoner Jokhadze is so poor that every other hour of imprisonment can become the last hour of his life.

If it were not for #213 Order of the Minister of Internal Affairs of the Soviet Union of October 30, 1987, concerning releasing of critically ill prisoners which for some reasons unknown is still in force in Georgia, Khvicha Jokhadze (who as a result of tortures in the course of investigation went out of his mind and is considered irresponsible and for this reason is not trialed yet), Mr. Zurab Tsirkvava placed in the Poti asylum, Nemo Chanturia who suffers from a severe form of diabetes and many other prisoners should have been for a long time ago released due to the fact that the state of their health is inadequate for the prison conditions. The above Order is not a juridical document for the independent State - Georgia specially as the USSR for several years already does not exist in nature and its juridical successor is Russia. Due to the absence of the Law the fate of the prisoners whose health state is critical is at mercy of the Human Rights Organizations and depends decision of the Pardon Committee obedient to the acting authorities rather than on the conclusions of the Medical Commission.

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia

დაიბეჭდა ს/ს „კეგელში“